განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი: 13 სექტემბერი, 2018

დასკვნის წარდგენის თარიღი: 3 დეკემბერი, 2018

თბილისი
2018

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	212693049
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირება
განათლებისსაფეხური	მაგისტრატურა (მეორე საფეხური)
მისანიჭებელიკვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი 02
სწავლების ენა	ქართული
კრედიტებისრაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	რუსუდან სეთურიძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ეკა ლეკაშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ეკა დევიძე, ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	დავით ბურჯანაძე, ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „ბიზნესის ადმინისტრირების“ მიზანია მოამზადოს ბიზნეს პროცესების მართვისა და კვლევითი უნარებით აღჭურვილი მაღალკვალიფიციური მენეჯერი, რომელსაც შესწევს უნარი, ერთი მხრივ, დააკვირდეს და გააანალიზოს ბიზნეს გარემოში მიმდინარე პროცესები, მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილებები როგორც გუნდში, ისე ინდივიდუალურად და მეორე მხრივ, გააგრძელოს სწავლა უმაღლესი განათლების შემდგომ საფეხურზე.

საგანმანათლებლო პროგრამა ,,ბიზნესის ადმინისტრირება“ 120 ECTS კრედიტს მოიცავს, სადაც 45 კრედიტი ძირითადი სავალდებულო სასწავლო კურსები, 10 კრედიტი არჩევითი სასწავლო კურსები/თავისუფალი კრედიტები და 65 კრედიტი – არჩევითი კონცენტრაციებია (ფინანსები, აღრიცხვა და აუდიტი; მენეჯმენტ-მარკეტინგი).

„ბიზნესის ადმინისტრირების“ სამაგისტრო პროგრამას აკრედიტაცია მიენიჭა 2012 წლის 19 აპრილს (საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს N75, 19.04.2012 გადაწყვეტილება).

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 2018 წლის 13 სექტემბერს. ვიზიტამდე, 11 სექტემბერს, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შეიკრიბა ექსპერტთა ჯგუფი (რუსუდან სეთურიძე, ეკა ლეკაშვილი, ეკა დევიძე, დავით ბურჯანაძე), 16^{00} საათიდან და 18^{00} საათამდე მიმდინარეობდა თვითშეფასების ანგარიშის განხილვა. ცენტრის მიერ მოწოდებული ფორმის მიხედვით განისაზღვრა ის აუცილებელი კითხვები, რომელიც დაისვა მომდევნო დღეს პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან და კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

13 სექტემბერს აღნიშნულ დაწესებულებაში ვიზიტის ფარგლებში 9^{00} საათიდან დაიწყო სამუშაო შეხვედრა პროგრამაში ჩართულ დაინტერესებულ პირებთან. სამუშაო განრიგის მიხედვით შეხვედრა/გასაუბრება შედგა ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, ფაკულტეტის წარმომადგენლებთან, დამსაქმებლებთან. ასევე ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (ბიბლიოთეკა, სააუდიტორიო ოთახები, ლაბორატორიები, კაბინეტები და ა.შ) დათვალიერება. სამუშაო შეხვედრა მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, კონსტრუქციული დიალოგით და მსჯელობით კონკრეტულ საკითხებთან მიმართებით. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა ობიექტურად შეეფასებინა პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

„ბიზნესის ადმინისტრირების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებისას ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით პირველი სტანდარტი შესაბამისობაშია სტანდარტებთან, ვინაიდან სტანდარტის 1.1 და 1.2 კომპონენტი შეფასდა, როგორც შესაბამისობაში მოთხოვნებთან. მეორე სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან, ვინაიდან სტანდარტის 2.1, 2.2, 2.3 და 2.4 კომპონენტები მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ხოლო 2.6 კომპონენტი ნაწილობრივ შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან, 2.5 კომპონენტი კი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან. მესამე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ვინაიდან 3.1 და 3.2 კომპონენტები შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან. მეოთხე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ვინაიდან 4.2 კომპონენტი მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან, ხოლო 4.1, 4.3 და 4.4 კომპონენტები შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. მეხუთე სტანდარტი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან, სადაც 5.1, 5.2 და 5.3 კომპონენტები შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამა მოქმედია, ჰყავს სტუდენტები, კურსდამთავრებულები, რომელთა ნაწილი სწავლას აგრძელებს განათლების შემდგომ საფეხურზე, ხოლო ნაწილი დასაქმებულია პროფილის მიხედვით, პროგრამა უზრუნველყოფილია აკადემიური და მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით, არის სიცოცხლისუნარიანი და ექვემდებარება განვითარებას.

- **რეკომენდაციები**

1. მიზანშეწონილია პროგრამაში აღინიშნოს და დაკონკრეტდეს შიდა და გარე მობილობის შესაძლებლობები და მოთხოვნები, რომელშიც გათვალისწინებული იქნება პროგრამის სპეციფიკა და უზრუნველყოფილი იქნება პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის მქონე პირთა პროგრამაში სასწავლებლად ჩართვა.
2. რადგან პრაქტიკის და სამაგისტრო ნაშრომის კომპონენტი წარმოდგენილია კონცენტრაციებში, მიზანშეწონილია მათი გადამუშავება კონცენტრაციის სპეციფიკის გათვალისწინებით ან მოხდეს გატანა კონცენტრაციის გარეთ.
3. მიზანშეწონილია დაკონკრეტდეს კონცენტრაციის არჩევის წინაპირობები სასწავლო კურსების სახით.
4. მიზანშეწონილია, პროგრამაში ჩართული იქნას ისეთი სავალდებულო სასწავლო კურსი, როგორიცაა „საინფორმაციო სისტემების მენეჯმენტი“ (რაც სტუდენტს მისცემს თანამედროვე საინფორმაციო სისტემების მენეჯმენტში თეორიულ და პრაქტიკულ საკითხებზე სიღრმისეულ ცოდნას).
5. მიზანშეწონილია, გადამუშავდეს სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსი და მასში აისახოს საკონტაქტო საათები.
6. მიზანშეწონილია მემორანდუმებში დაკონკრეტდეს პრაქტიკაზე გასაგზავნი კონტინგენტის მოცულობა.

7. მიზანშეწონილია გასწორდეს პროგრამაში ჩამოყალიბებული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებასთან შეუსაბამო ფრაზა: „თუ სტუდენტმა დამატებით გამოცდაზე მიიღო 0-დან 50 ქულამდე, საბოლოო საგამოცდო უწყისში სტუდენტს უფორმდება შეფასება (F) - 0 ქულა.“
8. რეკომენდებულია შეიცვალოს სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე დაშვების წინაპირობა: „სტუდენტი სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე არ დაიშვება თუ კვლევის შედეგები არ აქვს ასახული სამეცნიერო ჟურნალში ან არ მიუღია მონაწილეობა სამეცნიერო კონფერენციაში“
9. მიზანშეწონილია მაგისტრატურის საფეხურზე მაქსიმალურად მოკლე პერიოდში მოხდეს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის დანერგვა (ბაკალავრიატის საფეხურზე უკვე 2 წელია ფუნქციონირებს), რაც უზრუნველყოფს ეფექტურ კომუნიკაციას მაგისტრანტებსა და უნივერსიტეტს შორის, სასწავლო პროცესის უფრო გამჭვირვალედ წარმართვასა და პროგრამის სწავლის შედეგების სრულყოფილად შეფასებას.
10. მიზანშეწონილია მუდმივად მოხდეს აკადემიური პერსონალის სწავლის შედეგების შეფასებასა და სწავლების თანამედროვე მეთოდებში გადამზადება.
11. უსდ-მ მიზანშეწონილია მუდმივად იზრუნოს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განვითარებაზე.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- ✓ სასურველია თითოეული სწავლის შედეგისთვის შემუშავებული იყოს სამიზნე ნიშნული, მოხდეს მუდმივი მონიტორინგი და შესაბამისად სამიზნე ნიშნულთან დადარება.
- ✓ სასურველია სხვადასხვა ღონისძიებების შემუშავება მაგისტრანტების ლექციებსა და პრაქტიკულ მეცადინეობებზე დასწრების მაჩვენებლის გაზრდის კუთხით
- ✓ სასურველია შეთავაზებულ იქნეს არჩევითი სასწავლო კურსი „ლიდერობა“, რომლის საჭიროება დამსაქმებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა.
- ✓ სასურველია მოხდეს სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდების უფრო მეტ სასწავლო კურსებში გამოყენება.
- ✓ სასურველია უსდ-მა/ფაკულტეტმა პერმანენტულად უზრუნველყოს აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის უცხო ენებში გრძელვადიანი ტრენინგების, სამუშაო შეხვედრებისა და სემინარების შეთავაზება (საკომუნიკაციო დონეზე ფლობის/სამეცნიერო ლიტერატურისა და წყაროების დამუშავების კომპეტენცია და ა.შ.). აღნიშნული ინიციატივა ხელს შეუწყობს უსდ-ს პერსონალის კომპეტენციებისა და უნარების გაღრმავებას, რაც თავის მხრივ შესაძლებლობას მისცემს პროგრამაში ჩართულ პერსონალს მონაწილეობა მიიღოს უფრო მეტ საერთაშორისო კონფერენციებში, გაცვლით პროგრამებში, შეძენილი ცოდნა გაუზიარონ სტუდენტებს და დაგეგმონ ერთობლივი პროექტები.

საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

- „ბიზნესის ადმინისტრირების“ სამაგისტრო პროგრამას აკრედიტაცია მიენიჭა 2012 წლის 19 აპრილის N75 საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით. 2018 წლის 15 აგვისტოს დაწესებულებას მოწვეული ჰყავდა გარე ექსპერტი. გარე ექსპერტების რეკომენდაციებისა და რჩევების გათვალისწინება იმავე წლიდან იქნა დაწყებული და ეტაპობრივად განხორციელდა, კერძოდ:

  - შეიცვალა პროგრამაზე მიღების წინაპირობა და ნებისმიერ დაინტერესებულ (ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე) პირს შეუძლია სწავლა გააგრძელოს „ბიზნესის ადმინისტრირების“ სამაგისტრო პროგრამაზე ერთიანი ეროვნული და შიდასაუნივერსიტეტო გამოცდების ჩაბარების საფუძველზე;
  - პროგრამას დაერთო კომპეტენციების რუკა;
  - სამაგისტრო ნაშრომი ჩაისვა მხოლოდ მეოთხე სემესტრში 30 კრედიტის მოცულობით და სილაბუსიც შესაბამისად გასწორდა;
  - არჩევითი სასწავლო კურსების ნაცვლად პირველ, მეორე და მესამე სემესტრში ჩაისვა თავისუფალი კრედიტები;
  - მაგისტრანტების ლექციები ჩაისვა პროექტორით აღჭურვილ აუდიტორიებში. 2016 წელს გაიხსნა ვასილ ჩანტლაძის სახელობის აუდიტორია, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკით.
  - გაიზარდა პროფესიული პრაქტიკის ობიექტების რაოდენობა:
    - ✓ გაფორმდა მემორანდუმი საქართველოს ბანკების ასოციაციასთან და 2014-2015 სასწავლო წელს ბანკ-ნეტის პროგრამით ჩატარდა პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკა საბანკო საქმეში;
    - ✓ საგადასახადო საქმის პროფესიული პრაქტიკა ტარდება უნივერსიტეტის ფინანსური სამსახურის ბაზაზე, სადაც იყენებენ საგადასახადო ელექტრონულ სისტემას;
    - ✓ გაფორმდა მემორანდუმი „ჰიპერმარკეტ გორგიასთან“, სადაც წელიწადში მენეჯმენტ-მარკეტინგის მოდულის 10 სტუდენტი გადის პროფესიულ პრაქტიკას;
    - ✓ სს „ვითიბი ბანკი საქართველოს“ ქუთაისის ფილიალმა გაზარდა სტაჟირებაზე მისაღებ სტუდენტთა რაოდენობა და სხვა.
  - ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით გააქტიურებულია მოლაპარაკებები კიევის ვადიმ ჰეტმანის ეროვნულ უნივერსიტეტთან, ტარას შევჩენკოს ეკონომიკის უნივერსიტეტთან და ჩეხეთის ტომას ბატას უნივერსიტეტთან;
  - აღსანიშნავია უსდ/ფაკულტეტის მიერ დანერგილი ახალი მიდგომა - ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამაზე ძირითადი და არჩევითი სასწავლო კურსების შეთავაზებისას სტუდენტს მისცეს შესაძლებლობა პრაქტიკული მეცადინეობები და სემინარები ჩაატარონ დარგის მიმართულების პრაქტიკოსმა სპეციალისტებმა, რაც უფრო მეტად ზრდის სტუდენტის მოტივაციასა და ინტერესს.

- მნიშვნელოვანი მიღწევად და პროგრესად შეიძლება ჩაითვალოს უსდ/ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის მიერ გაწეული სამუშაოები შიდა ხარისხის შეფასების ეფექტური სისტემის შესაქმნელად.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის მიზანი შეესაბამება სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიას, რომელიც ახორციელებს კვლევით საქმიანობას, ეფუძნება რა ფაზისისა და გელათის აკადემიების ტრადიციებს, „უნივერსიტეტების დიდი ქარტიის“ პრინციპებსა და უმაღლესი განათლების ეროვნულ და ევროპულ სტანდარტებს, ისწრაფვის უზრუნველყოს მაღალი ხარისხის განათლება და კვლევითი საქმიანობა, ხელი შეუწყოს სტუდენტების პიროვნულ განვითარებას, აღზარდოს პროფესიონალები და ლიდერები. უნივერსიტეტი აცნობიერებს საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობას და მიზნად ისახავს, თავისი საქმიანობით წვლილი შეიტანოს ქალაქის, რეგიონისა და მთლიანად ქვეყნის განვითარებაში. ამ მიზნით იგი უზრუნველყოფს მთელი ცხოვრების მანძილზე უწყვეტი განათლების პროგრამებისა და სერვისების მიწოდებას, ახალი ცოდნის შექმნა-გავრცელებასა და სხვადასხვა დაინტერესებულ პირთან ერთად ჩართულია საზოგადოებრივი პოლიტიკის ფორმირების პროცესში. ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, „ბიზნესის ადმინისტრირების“ სამაგისტრო პროგრამის მიზანია მოამზადოს ბიზნეს პროცესების მართვისა და კვლევითი უნარებით აღჭურვილი მაღალკვალიფიციური მენეჯერი, რომელსაც შესწევს უნარი, ერთი მხრივ, დააკვირდეს და გააანალიზოს ბიზნეს გარემოში მიმდინარე პროცესები, მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილებები როგორც გუნდში, ისე ინდივიდუალურად და მეორე მხრივ, გააგრძელოს სწავლა უმაღლესი განათლების შემდგომ საფეხურზე. პროგრამაზე 2012 წლიდან დღემდე ჩარიცხულ სტუდენტთა დინამიკას თუ განვიხილავთ, შემდეგია: 

პროგრამის მომზადებამდე ჩატარდა დასაქმების ბაზრის კვლევა და დამსაქმებელთა გამოკითხვა, რომლის საფუძველზეც, გამოკვეთილი ტენდენციების მიხედვით, მოხდა სასწავლო კურსების შინაარსის მოდერნიზაცია, სწავლის მეთოდების განახლება, გარკვეული სასწავლო კურსების დამატება და ა.შ. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე პროგრამის მიზნები შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მიზნებსა და სტრატეგიული განვითარების გეგმის მიზნებთან, ნათლად არის ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • უნივერსიტეტის მისია https://www.atsu.edu.ge/index.php/mission-geo • თსუ სტრატეგიული განვითარების გეგმა https://www.atsu.edu.ge/index.php/strategic-plan-geo#mimartulebebi • პროგრამის მიზნები • ფაკულტეტის მისია, მიზნები და სტრატეგია; • თვითშეფასების კითხვარი; • ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა; • ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან ინტერვიუები. • ვებ-გვერდი https://atsu.edu.ge/
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებულიპროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

1.2პროგრამის სწავლის შედეგები
➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;

- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით (ბრძანება #120ნ. 2010 წლის 10 დეკემბერი) დამტკიცებული ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნებთან და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებს. პროგრამის სწავლის შედეგებში გათვალისწინებულია ის უნარები, რომელთა განვითარებასაც ემსახურება პროგრამაში ჩართული სასწავლო კურსები. პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმების სფეროების მოთხოვნებს და იძლევა განათლების შემდეგ საფეხურზე გადასვლის საშუალებას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და ასევე ინტერვიუს შედეგად დადგინდა, რომ პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავებაში პროგრამის ხელმძღვანელებთან ერთად მონაწილეობდა ყველა დაინტერესებული პირი. შედეგების ფორმირებისას გათვალისწინებული იქნა დამსაქმებლთა რეკომენდაციები, რომელთაგან მნიშვნელოვანი იყო პრაქტიკულ სწავლებაზე მეტი ორიენტირება, სწავლების მეთოდებისა და კვლევის უნარების გაუმჯობესება.

სასურველია, თითოეული სწავლის შედეგისთვის შემუშავებული იყოს სამიზნე ნიშნული, მოხდეს მუდმივი მონიტორინგი და შესაბამისად მოხდეს სამიზნე ნიშნულთან დადარება.

კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლები ადასტურებს, რომ ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამა, ხელს უწყობს კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას და იძლევა განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას.

პროგრამის შემუშავებამდე უნივერსიტეტმა ჩაატარა დასაქმების ბაზრის კვლევა. პროგრამის განხორციელების პერიოდულად შეფასების შედეგად გამოიკვეთა, რომ საგანმანათლებლო და შრომის ბაზრებზე არსებობს მოთხოვნა ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამაზე და მის კურსდამთავრებულებზე. უმაღლესი განათლების შემდეგ საფეხურზე 2014 წლიდან დღემდე სწავლას აგრძელებს ოთხი დოქტორანტი.

პროგრამაზე 2014 წლიდან დღემდე დასაქმებულ სტუდენტთა დინამიკას თუ განვიხილავთ, შემდეგია:



ბოლო წლებში კიდევ უფრო გააქტიურებულია დამსაქმებლებთან მემორანდუმებისა და ხელშეკრულებების გაფორმება (2012 წლიდან დღემდე გაფორმებულია 69 ორგანიზაციასთნ).

დამსაქმებელთა გამოკითხვა ტარდება ყოველწლიურად და მათი რეკომენდაციების პროგრამაში გათვალისწინება შეძლებისდაგვარად ხდება. დამსაქმებლების ბოლო გამოკითხვა ჩატარდა 2018 წლის იანვარ-თებერვალში. გამოკვლევაში მონაწილეობა მიიღო 15 რესპოდენტმა, მათთვის, პირველ ეტაპზე მიწოდებულ იქნა სასწავლო გეგმა და ანკეტა, რომელიც ითვალისწინებდა მათ დამოკიდებულებას არსებული პროგრამისადმი, შეთავაზებულ იქნა, თუ რა ტიპის ცვლილებებს დაუჭერდნენ ისინი მხარს, რომ ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულის კონკურენტუნარიანები ყოფილიყვნენ დასაქმების ბაზარზე. მეორე ეტაპზე კი მიმდინარეობდა პირადი ინტერვიუები, რომლის დროსაც ხდებოდა გარკვეული საკითხების დაზუსტება.

სასურველია სხვადასხვა ღონისძიებების შემუშავება მაგისტრანტების ლექციებსა და პრაქტიკულებზე დასწრების მაჩვენებლის გაზრდის კუთხით, ვინაიდან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ ლექციებსა და პრაქტიკულ მეცადინეობებზე დასწრების მაჩვენებელი შემცირებულია (იმის გათვალისწინებით, რომ მაგისტრანტების უმრავლესობა მუშაობს).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებლების მოთხოვნების ანალიზი;
- სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- კურსდამთავრებულების დასაქმების მაჩვენებელი;
- ვებ-გვერდი https://atsu.edu.ge/

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია სხვადასხვა ღონისძიებების შემუშავება მაგისტრანტების ლექციებსა და პრაქტიკულ მეცადინეობებზე დასწრების მაჩვენებლის გაზრდის კუთხით.
- სასურველია თითოეული სწავლის შედეგისთვის შემუშავებული იყოს სამიზნე ნიშნული, მოხდეს მუდმივი მონიტორინგი და შესაბამისად სამიზნე ნიშნულთან დადარება.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
საგანმანათლებლოპროგრამისმიზანი, სწავლისშედეგებიდამათთანპროგრამისშესაბამისობა	√			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სააკრედიტაციოდ წარმოდგენილ ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამაზე დაიშვება ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელიც საერთო სამაგისტრო გამოცდით გათვალისწინებულ ბარიერს გადალახავს, ჩააბარებს საუნივერსიტეტო სამაგისტრო გამოცდას სპეციალობაში და გაივლის ტესტირებას უცხო ენაში (B2 დონეზე), ან წარმოადგენს აწსუ აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილების (№6 (15-16) უცხო ენაში (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) B2 დონის სერტიფიკატის შესაბამისობის სკალის

დამტკიცების შესახებ) შესაბამის სერთიფიკატს. რადგან პროგრამა ღიაა ნებისმიერი სპეციალობის ბაკალავრის ხარისხის მატარებელი პირისთვის, შეფასების პროცესში აკრედიტაციის ექსპერტებმა გამოითხოვეს საუნივერსიტეტო სამაგისტრო სპეციალობის გამოცდის საკითხები, რათა გადაემოწმებინათ, რამდენად ხერხდება წინაპირობების საფუძველზე იმ ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის მქონე კონტინგენტის მიღება, რომლებიც დაძლევენ პროგრამას. საგამოცდო საკითხები მოიცავს ბიზნესის, მარკეტინგის, ფინანსების და ბუღალტერიის ფუნდამენტურ თემებს. ამასთან, მას ახლავს ლიტერატურის ჩამონათვალი (23 დასახელება) და ბმულები, რომლებზე დაყრდნობითაც აბიტურიენტს ევალება საგამოცდო საკითხების მომზადება. აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში გარე მობილობით პროგრამაზე გადმოსულ სტუდენტთა რაოდენობა მზარდია. მართალია პროგრამაში არ არის მითითებული პროგრამაზე სწავლის მიზნით შიდა და გარე მობილობის შესაძლებლობები, მაგრამ თვითშეფასების კითხვარში ეს ინფორმაცია მოწოდებულია. მიზანშეწონილია, პროგრამაში აღინიშნოს და დაკონკრეტდეს შიდა და გარე მობილობის შესაძლებლობები და მოთხოვნები, რომლითაც გათვალისწინებული იქნება პროგრამის სპეციფიკა და უზრუნველყოფილი იქნება პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის მქონე პირთა პროგრამაზე სასწავლებლად ჩართვა. შესაბამისად, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები მეტწილად ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას, უზრუნველყოფს პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის მქონე პირთა პროგრამაზე სასწავლებლად ჩართვას. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, პროგრამების კატალოგში, ერთიანი ეროვნული საგამოცდო ცენტრის მიერ მომზადებულ საინფორმაციო ცნობარში. ამასთან, უნივერსიტეტი ყოველწლიურად ატარებს ღია კარის დღეს მაგისტრანტობის კანდიდატებისთვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა; • უნივერსიტეტის ვებ-გვერდი https://atsu.edu.ge/; • თვითშეფასების კითხვარი; • გასაუბრება სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან; • ანკეტური გამოკითხვები; • ერთიანი ეროვნული საგამოცდო ცენტრის საინფორმაციო ცნობარი.
რეკომენდაციები: o მიზანშეწონილია, პროგრამაში აღინიშნოს და დაკონკრეტდეს შიდა და გარე მობილობის შესაძლებლობები და მოთხოვნები, რომელშიც გათვალისწინებული იქნება პროგრამის სპეციფიკა და უზრუნველყოფილი იქნება პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის მქონე პირთა პროგრამაში

სასწავლებლად ჩართვა.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. იგი 120 კრედიტს მოიცავს, სადაც 45 კრედიტი ძირითადი სავალდებულო სასწავლო კურსები, 10 კრედიტი არჩევითი სასწავლო კურსები/თავისუფალი კრედიტები და 65 კრედიტი – არჩევითი კონცენტრაციებია (ფინანსები, აღრიცხვა და აუდიტი; მენეჯმენტ-მარკეტინგი). პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა მეტწილად შეესაბამება სწავლების საფეხურს. იგი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს. პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. აღსანიშნავია, რომ პროგრამის შედეგებში არ ხდება აქცენტირება თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების შესწავლაზე, რაც კონკურენტუნარიანობის და ინოვაციური მართვის განმსაზღვრელი ფაქტორია. მიზანშეწონილია, პროგრამაში ჩართული იქნას ისეთი სავალდებულო სასწავლო კურსი, როგორიცაა „საინფორმაციო სისტემების მენეჯმენტი“ (რაც სტუდენტს მისცემს თანამედროვე საინფორმაციო სისტემების მენეჯმენტში თეორიულ და პრაქტიკულ საკითხებზე სიღრმისეულ ცოდნას) ამასთან, სასურველია არჩევით კურსად შეთავაზებულ იქნეს სასწავლო კურსი „ლიდერობა“, რომლის საჭიროება დამსაქმებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა. პროგრამის მიხედვით, სტუდენტი კონცენტრაციას ირჩევს პირველი სემესტრის დასრულებისას. მიზანშეწონილია დაკონკრეტდეს კონცენტრაციის არჩევის წინაპირობები

სასწავლო კურსების სახით. ამასთან, თითოეული კონცენტრაცია მოიცავს სამაგისტრო ნაშრომს (25 კრედიტი), პროფესიულ პრაქტიკას (5 კრედიტი) და სპეციალიზაციის სასწავლო კურსებს (35 კრედიტი). რადგან პრაქტიკის და სამაგისტრო ნაშრომის კომპონენტი წარმოდგენილია კონცენტრაციებში, მიზანშეწონილია მათი გადამუშავება კონცენტრაციის სპეციფიკის გათვალისწინებით ან გატანა კონცენტრაციის გარეთ. შესაბამისად, პროგრამაში შემავალი სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტები (მათ შორის, თითოეული სასწავლო კურსი) არის მეტწილად თანმიმდევრული და ლოგიკურად დალაგებულია. შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები არის ადეკვატური.

სტუდენტს ასევე შეუძლია პროგრამის ფარგლებში აითვისოს ქართულ ენაზე არსებული არჩევითი სასწავლო კურსები (10 კრედიტის მოცულობოით) აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ან ინგლისურ ენაზე ინტენსიურად აითვისოს თავისუფალი კრედიტები (10 კრედიტის მოცულობით) ვადიმ ჰეტმანის სახელობის კიევის ეროვნულ ეკონომიკურ უნივერსიტეტში. პროგრამის ხელმძღვანელებთან და უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ ეს უკანასკნელი პროგრამის განვითარებასთან და ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებული ცვლილებაა. შესაბამისად, დაწესებულება უზრუნველყოფს თავისუფალი კომპონენტების ფარგლებში (ზაფხულის და ზამთრის სკოლის ფარგლებში) არჩევითობას.

პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის ECTS სისტემის შესაბამისად. იგი მეტწილად ითვალისწინებს ახალი კვლევის შედეგებს და დარგის თანამედროვე მიღწევებს.

პროგრამის შემუშავებაში ჩართულია ყველა დაინტერესებული მხარე (აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი, სტუდენტი, კურსდამთავრებული, დამსაქმებელი და სხვა), რაც დადასტურდა მათთან გასაუბრებით.

უსდ უზრუნველყოფს პროგრამის შესახებ ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი https://atsu.edu.ge/;
- ანკეტური გამოკითხვები;
- გასაუბრება სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, დამსაქმებლებთან, ადმინისტრაციასთან;
- ერთიანი ეროვნული საგამოცდო ცენტრის საინფორმაციო ცნობარი.

რეკომენდაციები:

- რადგან პრაქტიკის და სამაგისტრო ნაშრომის კომპონენტი წარმოდგენილია კონცენტრაციებში, მიზანშეწონილია მათი გადამუშავება კონცენტრაციის სპეციფიკის გათვალისწინებით ან მოხდეს გატანა კონცენტრაციის გარეთ.
- მიზანშეწონილია დაკონკრეტდეს კონცენტრაციის არჩევის წინაპირობები სასწავლო კურსების სახით.
- მიზანშეწონილია, პროგრამაში ჩართული იქნას ისეთი სავალდებულო სასწავლო კურსი, როგორიცაა „საინფორმაციო სისტემების მენეჯმენტი“ (რაც სტუდენტს მისცემს თანამედროვე საინფორმაციო სისტემების მენეჯმენტში თეორიულ და

პრაქტიკულ საკითხებზე სიღრმისეულ ცოდნას)
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის o სასურველია შეთავაზებულ იქნეს სასწავლო კურსი „ლიდერობა“, რომლის საჭიროება დამსაქმებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის და სილაბუსების შესწავლისას დადგინდა, რომ ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. თითოეული სასწავლო კურსის შინაარსი შეესაბამება ამ სასწავლო კურსის სწავლის შედეგებს, ხოლო თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურს. თითოეული სასწავლო კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა (საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა) შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს. ასევე, საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა მეტწილად ადეკვატურია და ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას. საკონტაქტო საათების რაოდენობა სხვადასხვა სწავლა-სწავლების მეთოდები (ლექცია, პრაქტიკული, სემინარი, ლაბორატორია და სხვა) მეტწილად შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს. აღსანიშნავია სამაგისტრო ნაშრომის კომპონენტი, რომელიც მხოლოდ დამოუკიდებელ მუშაობას მოიცავს, თუმცა სილაბუსით გათვალისწინებული აქტივობები საჭიროებს მაგისტრანტის სამეცნიერო ხელმძღვანელთან ყოველკვირეულ კონტაქტს, რაც

უნდა აისახოს სილაბუსში საკონტაქტო საათების სახით. სასწავლო კურსის თითოეული სწავლის შედეგის მიღწევა ფასდება. სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს. სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა შეესაბამება მიმართულების/დარგის აქტუალურ მიღწევებს; ასევე ითვალისწინებს უახლეს კვლევებს მოცემულ სფეროში/დარგში და უზრუნველყოფს პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა; • სილებუსები; • თვითშეფასების კითხვარი; • გასაუბრება სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, დამსაქმებლებთან, ადმინისტრაციასთან.
რეკომენდაციები: o მიზანშეწონილია, გადამუშავდეს სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსი და მასში აისახოს საკონტაქტო საათები.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) o
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და

ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამა, სწავლის შედეგებისა და საფეხურის შესაბამისად, უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის პრაქტიკული უნარების გამომუშავებას და მათ სამეცნიერო/კვლევით პროექტებში ჩართვას. მასში გათვალისწინებულია ისეთი სასწავლო კურსები და კომპონენტები, როგორებიცაა ,,სამეცნიერო წერა“ (5 კრედიტი), ,,კვლევის მეთოდები ბიზნესში“ (5 კრედიტი), ,,პროფესიული პრაქტიკა“ (5 კრედიტი) და სამაგისტრო ნაშრომი (25 კრედიტი). შესაფასებლად წარმოდგენილი პროგრამის სასწავლო კურსების შესწავლისას აღმოჩნდა, რომ ისინი ორიენტირებულია ისეთი თემების, სწავლების და შეფასების მეთოდების გამოყენებაზე, რომლებიც პრაქტიკული და კვლევითი უნარების განვითარებას ემსახურებიან. აღნიშნული მიდგომა განპირობებულია პროგრამის განხორციელებაში ჩართული მხარეების მოთხოვნით: სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ მათი ძირითადი თვალსაზრისი პროგრამის განვითარებასთან დაკავშირებით ეხებოდა პრაქტიკული უნარების გამომუშავებას. პროგრამა დამამთავრებელ სემესტრში სტუდენტებს სთავაზობს პროფესიულ პრაქტიკას კონცენტრაციის ფარგლებში. იგი უზრუნველყოფს თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარების გამომუშავებას სწავლის შედეგებისა და საფეხურის შესაბამისად. პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი ორგანიზებული და დაგეგმილია პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად, თუმცა პროფესიული პრაქტიკის სილაბუსი თემატიკის მიხედვით ზოგადი ხასიათისაა და არ არის წარმოდგენილი კონცენტრაციების საკითხების გათვალისწინებით, რაც აღინიშნა 2.2. ქვესტანდარტის შეფასებისას. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტმა გააქტიურა დამსაქმებლებთან თანამშრომლობა, რასაც ადასტურებს გაფორმებული მემორანდუმები და გასაუბრება დამსაქმებლებთან, უნივერსიტეტი თვითონაც გვევლინება პრაქტიკის ობიექტის და დამსაქმებლის სახით. თუმცა დამსაქმებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები/მემორანდუმები არ ითვალისწინებს სტუდენტების რაოდენობას, მაგრამ ითვალისწინებს პრაქტიკის მიზანსა და ხანგრძლივობას. მიზანშეწონილია მემორანდუმებში დაკონკრეტდეს პრაქტიკაზე გასაგზავნი კონტინგენტის მოცულობა. კვლევითი კომპონენტების განვითარებას პროგრამა უზრუნველყოფს სასწავლო კურსებში ჩართული სწავლა/სწავლებისა და შეფასების სხვადასხვა მეთოდებით, როგორებიცაა რეფერატი, საშინაო დავალება, პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია და სხვა. ასევე, კურიკულუმის გარე აქტივობებით - სტუდენტურ კონფერენციებში მონაწილეობით, სტატიებზე მუშაობით. პრაქტიკის გავლის პერიოდში ან/და სამეცნიერო-კვლევით პროექტში ჩართვის შემთხვევაში სტუდენტს ხელმძღვანელობას უწევს დარგის კვალიფიციური პირი, რომელიც აფასებს სტუდენტის საქმიანობას. მათ აქვთ პრაქტიკული მუშაობის ან სამეცნიერო კვლევის გამოცდილება, რაც დადასტურდა სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და გასაუბრებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა; • სილაბუსები;

- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი https://atsu.edu.ge/;
- გასაუბრება სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, დამსაქმებლებთან, ადმინისტრაციასთან;

რეკომენდაციები:

o მიზანშეწონილია მემორანდუმებში დაკონკრეტდეს პრაქტიკაზე გასაგზავნი კონტინგენტის მოცულობა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი

ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, იგი შეესაბამება აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება დისკუსია-დებატები, თანამშრომლობითი სწავლება, ჯგუფური მუშაობა, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL), ევრისტიკული მეთოდი, შემთხვევების შესწავლა (Case study), გონებრივი იერიში, დემონსტრირების მეთოდი, ინდუქციური და დედუქციური მეთოდები, ანალიზის და სინთეზის მეთოდები, წერითი მუშაობის მეთოდები, ლაბორატორიული და პრაქტიკული,

ახსნა-განმარტებითი, ქმედებაზე ორიენტირებული და ელექტრონული სწავლების დასწრებული მეთოდი. საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით გამოიკვეთა, რომ სწავლება-სწავლის მეთოდები არის მოქნილი და ითვალისწინებს სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს (მოქნილი გრაფიკი, დამატებითი საკონსულტაციო საათები და ა.შ.), შემუშავებულია ინდივიდუალური პროგრამა, რომელიც შედგენილია სტუდენტის ინტერესებისა და აკადემიური მომზადების დონის შესაბამისად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სწავლება-სწავლის მეთოდები; • ინდივიდუალური გეგმები; • გამოკითხვის შედეგები; • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ✓ სასურველია მოხდეს სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდების უფრო მეტ სასწავლო კურსებში გამოყენება.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედებს შეფასების სისტემის მარეგულირებელი დოკუმენტი (დადგენილება #5(17/18) 15.09.2017 წ), რომლიც მოიცავს

შემდეგ შეფასების ფორმებს:

- სტუდენტის აქტივობა სასწავლო სემესტრის განმავლობაში - არა უმეტეს 30 ქულა;
- შუალედური გამოცდა - არა ნაკლებ 30 ქულა;
- დასკვნითი გამოცდა - 40 ქულა.

ტესტირება ტარდება როგორც საგამოცდო ცენტრში, ისე კომპიუტერის მეშვეობით, თუმცა კომპიუტერი მხოლოდ დახურული ტიპის ტესტებით ახდენს სტუდენტის შეფასებას.

დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომლის შუალედური შეფასების კომპონენტებში მინიმალური კომპეტენციის ზღვარი ჯამურად შეადგენს არანაკლებ 18 ქულას. ასევე აღსანიშნია, რომ დასკვნით გამოცდაზე სტუდენტის მიერ მიღებული შეფასების მინიმალური ზღვარი განისაზღვრება 15-25 ქულათა დიაპაზონით (სპეციფიკიდან გამომდინარე).

მიუხედავად უნიფიცირებული შეფასების ფორმებისა, თითოეული სასწავლო კურსის შეფასების კომპონენტები და მეთოდები მრავალფეროვანია და მოიცავს: რეფერატს, პროექტს, ქვიზს, ესეს, სიტუაციური ამოცანას და ა.შ. (ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა შეფასების მეთოდების რუკა) ყველა ზემოთ აღნიშნული ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას და მეტწილად შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს.

პროგრამის კომპონენტების შეფასების კრიტერიუმები ხელმისაწვდომია სტუდენტებისათვის და სხვა დაინტერესებული პირებისათვის. საჭიროების შემთხვევაში შეუძლიათ მიღწეული შედეგების გასაჩივრება უნივერსიტეტში დადგენილი წესით.

მიზანშეწონილია მაგისტრატურის საფეხურზე მაქსიმალურად მოკლე პერიოდში მოხდეს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის დანერგვა (ბაკალავრიატის საფეხურზე უკვე 2 წელია ფუნქციონირებს), რაც უზრუნველყოფს ეფექტურ კომუნიკაციას მაგისტრანტებსა და უნივერსიტეტს შორის, სასწავლო პროცესის უფრო გამჭვირვალედ წარმართვასა და პროგრამის სწავლის შედეგების სრულყოფილად შეფასებას.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემისა და კრიტერიუმების ჩამოყალიბებისას მიზანშეწონილია გასწორდეს პროგრამაში ჩამოყალიბებული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებასთან შეუსაბამო ფრაზა: „თუ სტუდენტმა დამატებით გამოცდაზე მიიღო 0-დან 50 ქულამდე, საბოლოო საგამოცდო უწყისში სტუდენტს უფორმდება შეფასება (F) - 0 ქულა.“

რეკომენდებულია შეიცვალოს სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე დაშვების წინაპირობა „სტუდენტი სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე არ დაიშვება თუ კვლევის შედეგები არ აქვს ასახული სამეცნიერო ჟურნალში, ან არ მიუღია მონაწილეობა სამეცნიერო კონფერენციაში“

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის - შეფასების მეთოდების რუკა
- აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილება #5(17/18) 15.09.2017 წ. „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა შეფასების სისტემის დამტკიცების შესახებ“
- ინტერვიუ პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;

- ინტერვიუ ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან

რეკომენდაციები:

- მიზანშეწონილია გასწორდეს პროგრამაში ჩამოყალიბებული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებასთან შეუსაბამო ფრაზა: „თუ სტუდენტმა დამატებით გამოცდაზე მიიღო 0-დან 50 ქულამდე, საბოლოო საგამოცდო უწყისში სტუდენტს უფორმდება შეფასება (F) -0 ქულა.“
- რეკომენდებულია შეიცვალოს სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე დაშვების წინაპირობა: „სტუდენტი სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე არ დაიშვება თუ კვლევის შედეგები არ აქვს ასახული სამეცნიერო ჟურნალში, ან არ მიუღია მონაწილეობა სამეცნიერო კონფერენციაში“
- მიზანშეწონილია მაგისტრატურის საფეხურზე მაქსიმალურად მოკლე პერიოდში მოხდეს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის დანერგვა (ბაკალავრიატის საფეხურზე უკვე 2 წელია ფუნქციონირებს), რაც უზრუნველყოფს ეფექტურ კომუნიკაციას მაგისტრანტებსა და უნივერსიტეტს შორის, სასწავლო პროცესის უფრო გამჭვირვალედ წარმართვასა და პროგრამის სწავლის შედეგების სრულყოფილად შეფასებას.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლებისმეთოდოლოგიადაორგანიზება, პროგრამისათვისებისშეფასების ადეკვატურობა		√		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე,აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიღწევების გასაუმჯობესებლად აუცილებელ ინფორმაციას სტუდენტები იღებენ ელექტრონული ფოსტით და ინდივიდუალური კონსულტაციების გზით. ამავდროულად ტარდება საინფორმაციო შეხვედრები ადმინისტრაციასთან. სტუდენტები და კურსდამთავრებულები აღნიშნავენ, რომ პროფესორებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, ადმინისტრაციულ პერსონალთან და ბიბლიოთეკასთან უწყვეტ რეჟიმში აქვთ კომუნიკაცია და ისინი მარტივად იღებენ სხვადასხვა სახის ინფორმაციას. (მაგ.: ელ. მასალებზე წვდომა, პროგრამის დაგეგმვა, სიახლეებზე წვდომა და ა.შ). სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრების შედეგად დასტურდება, რომ ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალი დაინტერესებულია სტუდენტებთან აქტიური კომუნიკაციით და სათანადო რეაგირების საკითხით. კვლევითი კომპონენტის გასაუმჯობესებლად, ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტმა გამოაცხადა შიდა საგრანტო კონკურსი, რომლის ძირითად მოთხოვნად განისაზღვრა სტუდენტთა აქტიური ჩართულობა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე 2018 წლის აპრილში გამოცხადებულ პირველი კონკურსის გამარჯვებულ პროექტში ჩართული იყო 6 მაგისტრი. დღეისთვის კი მიმდინარეობს მეორე საგრანტო კონკურსის (10.06.2018) განცხადებების განხილვის პროცესი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; • აწსუ აკადემიური საბჭოს 2017 წლის 15 სექტემბრის №3(17/18) დადგენილება -„აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის, ემერიტუსის, მასწავლებლის და ხელშეკრულებით მოწვეული სპეციალისტების წლიური

სასწავლო და სამეცნიერო-მეთოდურიდატვირთვის ნორმების დამტკიცების შესახებ“; • ლექტორების ინდივიდუალური დატვირთვების ცხრილი; • ინტერვიუ პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; • ინტერვიუ ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან; • ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს სტუდენტის მიერ ინდივიდუალურად შესრულებულ სამუშაოს. იგი არ არის ჯგუფური პროექტი. მასში უნდა აისახოს სწავლის პერიოდში შეძენილი პრაქტიკული და თეორიული ცოდნა. კერძოდ, დარგის/ქვედარგის ღრმა და სისტემური ცოდნა, მათ შორის ისეთი სპეციფიკური მეთოდების/საკითხებისა, რომელთა ძირითადი ნაწილიც ასახავს კვლევაზე დაფუძნებულ ახალ ცოდნას ან/და პროფესიულ პრაქტიკას.სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი), ემერიტუს-პროფესორი, დოქტორის ხარისხის მქონე მოწვეული პირი – მოწვევის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს დეპარტამენტის ხელმძღვანელი პროგრამის ხელმძღვანელის წარდგინებით, რაც აისახება შესაბამის ოქმში (დეპარტამენტის სხდომა). ერთმა პირმა ერთდროულად შეიძლება უხელმძღვანელოს მაქსიმუმ 5 მაგისტრანტს. სამაგისტრო ნაშრომის/დისერტაციის თემატიკიდან გამომდინარე სტუდენტს საშუალება ეძლევა აირჩიოს დარგის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ხელმძღვანელი,

რომელსაც აქვს საკვლევი თემის შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სასწავლო კურსის „სამაგისტრო ნაშრომის“ სილაბუსი • სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესი • ინტერვიუ პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; • ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
სტუდენტთამიღწევები, მათთანინდივიდუალურიმუშაობა	√			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით გამოიკვეთა, რომ პროგრამა მეოთხე სტანდარტის ქვესტანდარტის 4.1. ,,ადამიანური რესურსით უზრუნველყოფა“ მიხედვით შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. კერძოდ, სამაგისტრო პროგრამის განმახორციელებელი პირები პროგრამაში ჩართულები არიან კანონმდებლობისა და უსდ-ის შიდა რეგულაციების შესაბამისად. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 19 აფილირებული აკადემიური და 10 მოწვეული პერსონალი. აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია შესაბამისობაშია მათ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან, ფუნქციებსა და მოქმედ კანონმდებლობასთან. პროგრამას თან ახლავს აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სემესტრულად განახლებადი დატვირთვის სქემა (სემესტრების მიხედვით), სადაც ნათლადაა წარმოდგენილი მათზე დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობები, რომელშიც ასახულია სასწავლო და/ან სამეცნიერო-კვლევით და/ან სხვა დატვირთვა (სალექციო კურსები, სემინარები, კონსულტაციები და ა.შ.) აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის რაოდენობა ადეკვატურია სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებაში; აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი (19 აკადემიური/10 მოწვეული) უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალი სწავლების გარდა ჩართულია სტუდენტების კონსულტირების და პროგრამის განვითარების პროცესებში, ასევე პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებებში (კონფერენცია, სემინარი, ტრენინგი და ა.შ.)

პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, მისი კვალიფიკაცია დასტურდება მიმართულების/დარგის შესაბამისი განათლებით, პრაქტიკული გამოცდილებით და სამეცნიერო ნაშრომებით; პროგრამის ხელმძღვანელი მონაწილეობს პროგრამის შეფასება-განვითარებაში, ჩართულია პროგრამის განხორციელებაში.

პროგრამის სტუდენტები უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო

რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით (6 ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი); ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მათ მიერ განსახორციელებელ ფუნქციებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • პერსონალის პირადი საქმეები; • აკადემიური/სამეცნიერო/ მოწვეული პერსონალის დატვირთვის სქემა • აკადემიური/სამეცნიერო/ მოწვეული პერსონალის რაოდენობა პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებით; • აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის თანაფარდობა მოწვეულ პერსონალთან მიმართებით; • უსდ-ის მიერ ჩატარებული სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები; • ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის რაოდენობა; • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

4.2აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამა, 4. სტანდარტის ქვესტანდარტი 4.2. ,,აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება“-ს მიხედვით მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, რაც დასტურდება საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, აღსანიშნავია, რომ უსდ რეგულარულად აწარმოებს და აქტიურად იყენებს პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის შეფასებისა (სასწავლო/კვლევითი საქმიანობა) და კმაყოფილების კვლევის შედეგებს და აანალიზებს ამ შედეგებს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის (კვალიფიკაციის ამაღლება). შეფასების შედეგები გათვალისწინებულია პერსონალის დაწინაურებისა და წახალისებისას (ჰონორარი, საერთაშორისო მივლინებები და ა.შ.) პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი მეტწილად მონაწილეობს საერთაშორისო პროექტებში, კველევებსა და კონფერენციებში ენობრივი ბარიერის გამო. უსდ-ში პერსონალის განვითარების მიზნით განხორციელებული ღონისძიებებია: ტრენინგები, სამუშაო მივლინებები, კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო მასშტაბით და ა.შ. მიზანშეწონილია მუდმივად მოხდეს აკადემიური პერსონალის სწავლის შედეგების შეფასებასა და სწავლების თანამედროვე მეთოდებში გადამზადება. უსდ-მ მიზანშეწონილია მუდმივად იზრუნოს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განვითარებაზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • პერსონალის საქმიანობის შეფასებისა და კმაყოფილების კვლევის შედეგები და მათი გამოყენება პერსონალის მართვასა და განვითარებაში; • სტატისტიკური მაჩვენებლები პერსონალის შესახებ; • უსდ-ის მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგები; • სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობის ხელშემწყობი მექანიზმები; • კონფერენციებში, კვლევებსა და ღონისძიებებში პერსონალის ჩართულობის მაჩვენებელი; • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: o მიზანშეწონილია მუდმივად მოხდეს აკადემიური პერსონალის სწავლის შედეგების შეფასებასა და სწავლების თანამედროვე მეთოდებში გადამზადება. o უსდ-მ მიზანშეწონილია მუდმივად იზრუნოს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განვითარებაზე.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის o სასურველია უსდ-მა/ფაკულტეტმა პერმანენტულად უზრუნველყოს აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის უცხო ენებში (საკომუნიკაციო დონეზე ფლობის/სამეცნიერო ლიტერატურისა და წყაროების დამუშავების კომპეტენცია და ა.შ.) გრძელვადიანი ტრენინგების, სამუშაო შეხვედრებისა და სემინარების შეთავაზება. აღნიშნული ინიციატივა ხელს შეუწყობს უსდ-ს პერსონალის

კომპეტენციებისა და უნარების გაღრმავებას, რაც თავის მხრივ შესაძლებლობას მისცემს პროგრამაში ჩართულ პერსონალს მონაწილეობა მიიღოს უფრო მეტ საერთაშორისო კონფერენციებში, გაცვლით პროგრამებში, შეძენილი ცოდნა გაუზიარონ სტუდენტებს და დაგეგმონ ერთობლივი პროექტები.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით (აუდიტორიები, ბიბლიოთეკა, სამკითხველო დარბაზები, კომპიუტერები, პროექტორი და ა.შ.), რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად. პროგრამა შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, რაც დასტურდება საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით. კერძოდ, ბიბლიოთეკაში განთავსებულია სილაბუსებით განსაზღვრული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა (მათ შორის ელექტრონულ მატარებლებზე არსებული), სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია უახლესი სამეცნიერო პერიოდული გამოცემები, საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები, რომლებიც საშუალებას აძლევს მათ გაეცნონ შესაბამისი მიმართულების/დარგის უახლეს სამეცნიერო მონაცემებს პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად; მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და პერსონალისთვის; სტუდენტები ინფორმირებულები არიან არსებული რესურსის გამოყენების შესაძლებლობების შესახებ და იყენებენ არსებულ რესურსს საჭიროების მიხედვით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები • საბიბლიოთეკო, მატერიალური და ტექნიკური რესურსი; • ტექნიკური აღჭურვილობის შეფარდება სტუდენტების რაოდენობასთან; • ინფრასტრუქტურის, ტექნიკური აღჭურვილობის და წიგნადი ფონდის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი; • ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდის შესაბამისობა საგანმანათლებლო პროგრამებში მითითებულ ძირითად ლიტერატურასთან; • საერთაშორისო ელექტრონულ სამეცნიერო ბაზებში ჩართულობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია; • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

4.4პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამის/ფაკულტეტის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსები გამოყოფილია, კომპონენტები გამიჯნულია და ხარჯვითი ლიმიტი განსაზღვრულია, როგორც პრაქტიკის, ისე სასწავლო და კვლევით კომპონენტისათვის, ასევე დადასტურებულია პროგრამის ფინანსური მდგრადობა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები

• პროგრამის/ფაკულტეტის ბიუჯეტი; • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლებისრესურსებითუზრუნველყოფა	√			

5. სწავლებისხარისხისგანვითარებისშესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს

ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის შიდა ხარისხის უზრუნველყოფა ეფუძნება „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფციას“ (აწსუ აკადემიური საბჭოს დადგენილება - 09.02.2018 , #49(17/18)) რომლის ძირითადი მიზანია:

- უნივერსიტეტის მისიისა და სტრატეგიული მიზნების ეფექტიანი განხორციელების უზრუნველყოფა;
- უნივერსიტეტის საქმიანობის ფარგლებში სასურველი დონის ხარისხის უზრუნველყოფა, რაც განსაზღვრულია უნივერსიტეტის შიდა სტანდარტებითა და კრიტერიუმებით;
- უნივერსიტეტის საქმიანობის განათლების სფეროში მოქმედი საქართველოს კანონმდებლობის, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის დებულებებისა და სხვა ნორმატიული დოკუმენტებისა და სტანდარტების მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა, რათა მიღწეული იქნეს ინსტიტუციური ავტორიზაციისა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის უწყვეტობა;
- უნივერსიტეტის საქმიანობის შედეგების რეგიონულ და ეროვნულ დონეზე აღიარება და საერთაშორისო დონეზე ცნობადობის ამაღლება;
- ყველა პროცესის ინტერნაციონალიზაციისა და ყველა დაინტერესებულ მხარესთან ორმხრივად მომგებიანი ურთიერთობის ჩამოყალიბების ხელშეწყობა.

უნივერსიტეტში ხარისხის შიდა სისტემა ეფუძნება სამ ძირითად პოლიტიკას:

1. საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა - EP-QA;
2. კვლევის განვითარების პოლიტიკა - RE-QA;
3. მართვის ეფექტიანობის გაუმჯობესების პოლიტიკა - ME-QA;

საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა - EP-QA ხორციელდება სამი პროცედურის საშუალებით:

1. EP-QA 1.1 საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირების, დაგეგმვისა და დამტკიცების პროცედურა;
2. EP-QA 1.2 საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების პროცედურა;
3. EP-QA 1.3 მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების პროცედურა.

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა, როგორც მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამა ექვემდებარება მესამე პროცედურას და შიდა შეფასება წარიმართა სამ ეტაპად:

I. ცვლილებების განსაზღვრა (იდენტიფიცირება);
II. ცვლილებების შემუშავება;
III. ცვლილებების განხილვა და დამტკიცება.

პროგრამის განვითარების მიზნით ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის და დეპარტამენტის კოორდინატორის ინიციატივით მიმდინარეობდა:

სისტემატიური დაკვირვება სააუდიტორიო მუშაობაზე - პროგრამის ხელმძღვანელი ესწრება სააუდიტორიო მუშაობას და აფასებს ლექტორის მიერ ჩატარებულ მეცადინეობას, რომლის შედეგებიც ეგზავნება შესაბამის დეპარტამენტს განსახილველად და შესაბამისი რეაგირებისთვის.

ურთიერთდასწრება . აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა მისი ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციის - უნივერსიტეტში სწავლისა და სწავლების ხარისხის კონტროლის კრიტერიუმების და მათი გამოყენების მეთოდოლოგიის განსაზღვრის, სწავლა/სწავლების პროცესის თანამედროვე მეთოდებით წარმართვის მიზნით შეიმუშავა „ურთიერთდასწრებისა და სააუდიტორიო მუშაობის შეფასების პოლიტიკა“, რათა უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალისათვის შექმნილიყო გარემო, სადაც მიეცემოდათ ერთმანეთისთვის იდეების გაზიარების შესაძლებლობა და გამოცდილება მიმდინარე სწავლა/სწავლების პროცესის თაობაზე. რაც ხელს უწყობს სწავლა/სწავლების პროცესის ამა თუ იმ მიმართულების ეფექტურობის, პერსონალის პროფესიულ განვითარებისთვის საჭირო მოთხოვნების გაანალიზების საფუძველზე შემუშავებულ იქნას სასწავლო პროცესის სრულყოფისა და მისი გაუმჯობესების პრაქტიკული რეკომენდაციები. ურთიერთდასწრების მიზნით ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტი წინასწარ ადგენს გრაფიკს და იქმნება კომისია, რომელმაც შესრულებული სამუშაოს ოქმი უნდა წარუდგინოს საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს დეპარტამენტში განსახილველად და შესაბამისი რეაგირებისთვის.

სტუდენტთა, დამსაქმებელთა, კურსდამთავრებულთა და აკადემიური პერსონალის გამოკითხვა. (გამოკითხვის შედეგების განხილვა-გაანალიზება დეპარტამენტის სხდომებზე, დეპარტამენტის სხდომებზე შემუშავებული რეკომენდაციების დამტკიცება ფაკულტეტის საბჭოზე) - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სასწავლო პროცესის სრულყოფისა და სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნის მიზნით ერთ-ერთ მექანიზმად იყენებს სტუდენტთა პერიოდულ გამოკითხვას. სტუდენტების გამოკითხვის ძირითადი ამოცანაა სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა; სწავლა/სწავლების მეთოდების სილაბუსთან შესაბამისობის კვლევა; შეფასების სისტემის კვლევა და ლექტორ-მასწავლებლების შეფასება.

დამსაქმებლებთან თანამშრომლობა - კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და პოტენციურ დამსაქმებლებთან მჭიდრო კავშირის დამყარების მიზნით საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი და დეპარტამენტი პერიოდულად ატარებს მათან შეხვედრებს, რომლის შედეგებიც განიხილება ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტში და აუცილებლობის შემთხვევაში აისახება პროგრამაში. დამსაქმებლების რეკომენდაციით „ბიზნესის ადმინისტრირების“ სამაგისტრო პროგრამაში მენეჯმენტის მოდულიდან ზოგად სავალდებულოში გადავიდა სასწავლო კურსები - „რისკ-მენეჯმენტი“ და „კონფლიქტების და მოლაპარაკებების მართვა“, ხოლო „ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების“ ნაცვლად ჩაისვა სასწავლო კურსი „მმართველობითი აღრიცხვა“.

სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი და შედეგების განხილვა დეპარტამენტში - ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზს და შედეგებს აწვდის შესაბამის დეპარტამენტებს განსახილველად. აკადემიური მოსწრების ანალიზი ითვალისწინებს სემესტრის/ერთი სასწავლო წლის განმავლობაში სასწავლო კურსებზე სტუდენტთა შეფასების საშუალო მაჩვენებლისა და

აკადემიური დავალიანების (შეფასება F) რაოდენობის გამოვლენას; დაბალი მაჩვენებლის შემთხვევაში გამომწვევი მიზეზების გამოვლენას, შესწავლასა და პრობლემის გადაჭრის გზების ძიებას.

კურსდამთავრებულებთან თანამშრომლობის პოლიტიკა. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში კურსდამთავრებულებთან თანამშრომლობა სამი მიმართულებით წარმოებს:

I. კარიერული განვითარების ცენტრის ფარგლებში არსებული კურსდამთავრებულთა ქსელი;
II. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განხორციელებული აქტივობები;
III. საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელების მიერ განხორციელებული აქტივობები.

პროგრამის განვითარების მიზნით გაიზარდა პარტნიორი ორგანიზაციების რიცხოვნობა:
- აღსანიშნავია კიევის ტარას შევჩენკოს სახელმწიფო უნივერსიტეტთან მემორანდუმის გაფორმება, რომელიც ითვალისიწნებს აკადემიური პერსონალის მობილობას, ერთობლივი კონფერენციების ჩატარებას, ამავე პროგრამის კურსდამთავრებულების მიერ დაგეგმილი ზაფხულის შემეცნებით სკოლაში სტუდენტების მონაწილეობას, ერთობლივი კვლევების დაგეგმვას და განხორციელებას. ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით გააქტიურებულია მოლაპარაკებები. ასევე, კიევის ვადიმ ჰეტმანის ეროვნულ უნივერსიტეტთან და ჩეხეთის ტომას ბატას უნივერსიტეტთან

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აწსუ აკადემიური საბჭოს დადგენილება - 09.02.2018, #49(17/18)
- მემორანდუმები
- ურთიერთდასწრების პოლიტიკა
- გამოკითხვის შედეგები
- აკადემიური მოსწრების ანალიზი

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- ხარისხის სამსახურის მიერ გაწეული სამუშაოების ციკლი შიდა ხარისხის შეფასების ეფექტური სისტემის შესაქმნელად

შეფასება

✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი

„ბიზნესის ადმინისტრირების“ სამაგისტრო პროგრამას აკრედიტაცია მიენიჭა 2012 წლის 4 აპრილს და გარე ექსპერტების რეკომენდაციების გათვალისწინება იმავე წლიდან იქნა დაწყებული და ეტაპობრივად განხორციელდა:

1.შეიცვალა პროგრამაზე მიღების წინაპირობა და ნებისმიერ დაინტერესებულ (ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე) პირს შეუძლია სწავლა გააგრძელოს „ბიზნესის ადმინისტრირების“ სამაგისტრო პროგრამაზე ერთიანი ეროვნული და შიდასაუნივერსიტეტო გამოცდების ჩაბარების საფუძველზე;
2. პროგრამას დაერთო კომპეტენციების რუქა;
3. პროგრამიდან ამოღებული იქნა სასწავლო კურსი „უმაღლესი სკოლის დიდაქტიკა“;
4. სამაგისტრო ნაშრომი ჩაისვა მხოლოდ მეოთხე სემესტრში 30 კრედიტის მოცულობით და სილაბუსიც შესაბამისად გასწორდა;
5. არჩევითი სასწავლო კურსების ნაცვლად პირველ, მეორე და მესამე სემესტრში ჩაისვა თავისუფალი კრედიტები, რის საფუძველზეც ნებისმიერ სტუდენტს შეეძლო „ბიზნეს უცხო ენის“ არჩევა;
6. მაგისტრანტების ლექციები ჩაისვა პროექტორით აღჭურვილ აუდიტორიებში. 2016 წელს გაიხსნა ვასილ ჩანტლაძის სახელობის აუდიტორია, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკით.
7. 2012 წლიდან დღემდე სხვადასხვა მიმართულებით გადამზადდა ნანა ბენიძე, თინათინ გუგეშაშვილი, გოდერძი შანიძე, ნანა შონია, ნუნუ ქიქოძე, ინეზა წერეთელი, ემზარ ჯულაყიძე, ხატუნა შალამბერიძე.
8. გაიზარდა პროფესიული პრაქტიკის ობიექტების რიცხოვნება:
   - ✓ გაფორმდა მემორანდუმი საქართველოს ბანკების ასოციაციასთან და 2014-2015 სასწავლო წელს ბანკ-ნეტის პროგრამით ჩატარდა პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკა საბანკო საქმეში;
   - ✓ საგადასახადო საქმის პროფესიული პრაქტიკა ტარდება უნივერსიტეტის ფინანსური სამსახურის ბაზაზე, სადაც იყენებენ საგადასახადო ელექტრონულ სისტემას;
   - ✓ გაფორმდა მემორანდუმი „ჰიპერმარკეტ გორგიასთან“, სადაც წელიწადში მენეჯმენტ-მარკეტინგის მოდულის 10 სტუდენტი გადის პროფესიულ პრაქტიკას;
   - ✓ სს „ვითიბი ბანკი საქართველოს“ ქუთაისის ფილიალმა გაზარდა სტაჟირებაზე მისაღებ სტუდენტთა რაოდენობა. ამჟამად სტაჟირებაზე მყოფ სტუდენტებს ბანკის ყველა განყოფილებაში უწევთ პრაქტიკის გავლა და დასაქმების რეალური შანსიც გააჩნიათ.

2018 წლის 15 აგვისტოს დაწესებულებას მოწვეული ჰყავდათ გარე ექსპერტი, რომლის რეკომენდაციები და რჩევები გათვალისწინებულ იქნა პროგრამაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა; • საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2011 წლის 17 ოქტომბრის #116 გადაწყვეტილება. • პროგრამაში ჩართულ პირთა გამოკითხვის ანალიზი.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგი და შეფასება მოიცავს ინფორმაციის სისტემურ შეგროვებას, დამუშავებას, ანალიზს და შედეგების შესაბამისი რეკომენდაციების ჩამოყალიბებას. ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის მონიტორინგის მიზნით ხორციელდებოდა შემდეგი სახის ინფორმაციის სისტემური შეგროვება: • პროგრამაში ჩართული პირების (აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული) განვითარების შესახებ; • სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის მიერ პროგრამის და ცალკეული სასწავლო კურსების შეფასების შესახებ; • მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების შესახებ;

- ინტერაქტიული მეთოდებით მუშაობის შესახებ.

მოპოვებული ინფორმაციის დამუშავებას ახდენს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური თანამედროვე ტექნოლოგიების (რაოდენობრივი კვლევის განხორციელებისათვის არსებული პროგრამების - SPSS) გამოყენებით, შედეგებს უგზავნის შესაბამის დეპარტამენტებს განსახილვისა და იმპლიმენტირებისათვის.

მონიტორინგის საფუძველზე გაცემული რეკომენდაციების გათვალისწინებით დეპარტამენტების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები (სასწავლო კურსების მიზნისა და შედეგების შესაბამისობაში მოყვანა, შეფასების მეთოდების და რუბრიკების დახვეწა, პრაქტიკული და კვლევითი კომპონენტების გაძლიერება) ასახული იქნა წარმოდგენილ პროგრამაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- ურთიერთდასწრების ოქმები;
- სტუდენტთა და ლექტორთა გამოკითხვის ანალიზები;

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათისრჩევებიპროგრამისგანვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლებისხარისხისგანვითარებისშესაძლებლობები	√			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა:

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 39

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		√		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

რუსუდან სეთურიძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები

ეკა ლეკაშვილი



ეკა დევიძე

დავით ბურჯანაძე